KA021718649555520

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

ბრძანება

N1/1-1556 18 / მარტი / 2020 წ.

სსიპ ,,სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს' ზოგიერთი ბრძანებით დამტკიცებულ საინფორმაციო საშუალებებში განსათავსებელ აუქციონის ჩატარების შესახებ განცხადებებში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და ,,სახელმწიფო ქონების განკარგვისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 10 თებერვლის №1-1/172 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილებები სსიპ ,,სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს' მიერ 2020 წლის 9 მარტიდან ამავე წლის 17 მარტის ჩათვლით, ელექტრონული აქუციონით პრივატიზების მიზნით გამოცემული ზოგიერთი ბრძანების საინფორმაციო საშუალებებში განსათავსებელი აუქციონის ჩატარების შესახებ განცხადებებში და ამავე განცხადებებში არსებული გრაფა ,,აუქციონის დასრულების დრო" ჩამოყალიბდეს დანართის შესაბამისად.

2. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შეიძლება საქართველოს მთავრობაში (მისამართი: ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ. №7), ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ), კანონით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული
სააგენტოს თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

გიორგი დუგლაძე